წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 14 ენკენისთვე 1916 წ. № 204

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის ქალაქებში დებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვერდზე—40 კ., 4 გვ. 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

განათლების საზოგადოების გამგეობამ დანიშნა ოთხშაბათს, 14 ენკენისთვეს, პირველ საათზე, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში პანაშვიდი

**ეკატერინე ივანეს ასულის**

**სარაჯიშვილის**

სულის მოსახსენებლად.

ამ პანაშვიდს დაესწრება განათლების ორივე სასწავლებლის მოწაფენი მასწავლებელთა თანადასწრებით.

(1—334—1)

გიორგი ვასილის ძე და ელისაბედ ალექსანდრეს ასული სარაჯიშვილები შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მამის და მეორის მამამთილის, და მესამეთათვის პაპის, სამსახურ გარეშე მყოფის, გენერალ-მაიორის

**ვასილ ალექსანდრეს ძის**

**სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ბინაზე, გოლოვინის პროსპექტი № 14. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—334—1)

შაბათს, 17 ენკენისთვეს, ნახევარ წლის თავზე საჰოსპიტალო გემზე „პორტუგალზე“ დაღუპვილ დავითის ქალის

**ანეტა სოლომონის ასულის**

**ანდრონიკაშვილის**

სულის მოსახსენებლად ს. ქოდალოში საგვარეულო აკლდამაში გადახდილ იქნება პანაშვიდი. დასაწყისი 12 საათზე.

(1—332—1)

პეტრე პავლეს ძე კვირიკაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლებულის ძვირფას საყვარელის და დაუვიწყარ მეუღლის

**ალექსანდრა (საშა) კონსტანტინეს ასულის**

**კვირიკაშვილის**

სულის მოსახსენებლათ იქნება გადახდილი ოთხშაბათს, 14 ენკენ.

წირვა დაიწყება დილის 9 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

(2—329—2)

გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანი, თამარ გრიგოლის ასული ლოსაბერიძისა, ნინო და მარიამ გრიგოლის ასულნი ჩარკვიანი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვლებას, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდგომ, პირველი მეუღლის და შემდეგნი ძვირფასი მშობლის

**ელისაბედ დავითის ასულის**

**ჩარკვიანისას**

გამოსვენება საკუთარ სახლიდან, მაგისტრალის და ხუდადოვის ქუჩის კუთხე, ნაძალადევში, ივერიის ღვთის-მშობლის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 15 ენკენისთვეს დილის 10 საათზე.

(2—330—2)

თამარ გრიგოლის ასული, ვლადიმერ ვასილის ძე და ცაცა ვლადიმერის ძე ლოსაბერიძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ, პირველის დაუვიწყარ დედის, მეორის სიდედრის და მესამის დიდედის

**ელისაბედ დავითის ასულის**

**ჩარკვიანის**

გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ხუდადოვის და მაგისტრალის ქუჩ. ნაძალადევში, ივერიის ღვთის-მშობლის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 15 ენკენისთვეს დილის 10 საათზე.

(2—331—2)

**სავაჭრო სახლი**

**„ძმ. სესიევები და ამხ.“**

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**

(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)

ხუთშაბათს, 15 ენკენისთვეს,

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I.

**„მ ა თ ი კ ო“**

მესამე მოქმედ. აქსენტი ცაგარლისა.

II.

**„საღამოს ერთი ჩხვირი ხეირია“**

ვოდ. 1 მოქ. სანდუკიანცისა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

(1—250—1)

**ახალი მელანი**

**კოტე ონიკაშვილისა**

მელანი ახლის ახალგაზდაც („კაპიროვკისთვის“) კარგია

**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.

ფუთი უბრალო ჭურჭლით 40 მან.

ხანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნება.

✦ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ✦

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

**სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა**

**ქართულსა და რუსულს ენაზე**

| | | |
|---|---|---|
| I განყოფილება | — | დიქცია და დეკლამაცია. |
| II „ | — | პლასტიკა და გიმნასტიკა. |
| III „ | — | თეატრის ისტორია. |
| IV „ | — | ესთეტიკა. |
| V „ | — | პრაქტიკული მეცადინეობა. |

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.
დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და საღამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა.

(თ.—230—15)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

**კაფე პარიზი**

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

**ექიმი**

**ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

**შეშხაპუნება**

**ექიმი**

**მ. ი. ვაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზისტაფონში

**ექიმი**

**დ. კ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

**ექიმი**

**ა. დ. შაჰპაზიანცი**

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ახირებული ვითარება

ამ ჩვენს დროში ქართველის ცხოვრებას განაგებს სულის ერთნაირი ახირებული თვისება, რომელიც არც პირწმინდა ქარაფშუტობაა და არც პირწმინდა უდარდელობა თუ უანგარიშობა. იგი თვისება ერთნაირი ალიაჟია, ერთნაირი ნარევი, სადაც თანაბარის რაოდენობით შეზავებულა ეს ქარაფშუტობაც, ეს უდარდელობა-უანგარიშობაც, და სადაც თითოეულ ამ თვისებას განუცდია ცვლა და გადახალისება. საბოლოოდ ამ ქიმიურმა შეზავებამ შეჰქმნა ძნელად განსასაზღვრი ახალი თვისება, სწორედ მეტად ახირებული. მცირედ მოაზრებულ მიზანს, ხშირად სრულიად უცნობ და უცხო რამეს ქართველი სწირავს მთელ თავის ქონებას, სწირავს თავის სიცოცხლესაც. ამავე დროს უყურადღებოთ და უსიყვარულოთ რჩება, რაც მისია სისხლით და ხორცით, რაც მისია დაბადებით, ტრადიციით, მდგომარეობით! ამ საკვირველების ახსნა მარტოოდენ შეუგნებლობით აღარ შეიძლება.

ვინ არ იცის, რომ აუარებელი მსხვერპლი, ამ ათიოდე წლის წინად გაღებული, ქართველობამ შესწირა ერფურტის პროგრამას! ხალხი, რომელიც უაღრესად რეალისტია, მეტაფიზიკის ანკესს წამოეგო და „ეკონომიური მატერიალიზმის“ გულისათვის ჯვარს ეცო. გაიწირა მსხვერპლი უფრო იმიტომ, რომ სადღაც შორს, უცხო მხარეში არსებობდა დიდი მრეწველობა და პროლეტართა ჯარი, რომ „კლასთა ბრძოლა იყო ღერძი ისტორიის და ერთად-ერთი სინამდვილე“. მოძრაობა, რომელიც მთელ საქართველოს აქეთ-იქით ისე აქანებდა, ვით ღელვილს ზღვაში ქარიშხალი „ნავსა უიალქნოს“, ნასესხები პრინციპებით იყო გამოწვეული და არა საქართველოს შეგნებული ინტერესით. არ იყო წამოყენებული და შესწავლილი ქართველი ხალხის ნამდვილი საჭიროება, მისი სიცოცხლისა და არსებობის უმთავრესი ძარღვი. სიტყვით, დემოკრატიული სრულებით მოკლებული იყო არსებითად დემოკრატიულ შინაარსს. მთელი საქართველო მიწის ქვეყანაა, სოფლის მეურნეობა ერთად-ერთი წყაროა მთელი ორი მილიონი გლეხობისა, და იმ თავად-აზნაურობისაც, რომლის რიცხვი მთელ საქართველოში ასი ათას არ აღემატება. არც ერთ მიმართულებას, რომელიც მოძრაობის მესვეურობას ჩემულობდა, მიწის საკითხი შესწავლილი არ ჰქონდა. შუაგულ მოძრაობის დროს, მიწის პროგრამას ისე იცვლიდნენ, როგორც ძველ ხელთათმანს. დღეს „ჩამონაჭრებს“ ურიგებდენ ქართველ გლეხებს, ხვალ მუნიციპალიზაციას ურჩევდნენ; იყვნენ ისეთებიც, ვინც ფანტასტიურ მიწის სოციალიზაციას სერიოზულად ქადაგობდენ. ყველაფერი ეს უფრო სადემაგოგიო ამბები იყო ვიდრე ქართული სინამდვილის გულ და გულ შესწავლით ნაჩვენები აუცილებელი გზა და წესი მიწის საკითხის გადაჭრისა. წინასწარი ფაქტიური შესწავლის საგანი არ ყოფილა არც ეს, არც ფორმა და ხასიათი ჩვენი საქმიანობის, არც სკოლა, არც ოჯახი, არც ის, თუ რანაირი ურთიერთობა დამყარებულიყო ჩვენში ჩამოსახლებული ერების მიმართ.

ზოგი ავტონომიას თხოულობდა, მაგრამ არ იცოდა საზღვარი თავის ქვეყნის, ისა, თუ სადამდის უწევდა საქართველო, თუ სად დაესო პალო და სად გაევლო მიჯნა და ყორე. ყველაფერი ეს გაურკვეველი იყო, ბუნდოვანი. ამისთვის თავს არ იტკივებდენ. დამოუკიდებელი გონებრივი შრომა, გარჯა და შემოქმედება მათთვის ხელმიუწდომელი იყო. ბელადი კმაყოფილდებოდა ზოგადი პრინციპით, საერთო ლოზუნგით. ხალხიც ამას დასჯერდა. მალე შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ რაც ბელადმა იცოდა, ის ხალხმაც შეითვისა; ბელადს არაფერი შერჩა ისეთი, რომელსაც სეკრეტისა და საიდუმლოების გრძნეულება ჰქონიყო და ხალხისთვის თვალი მოეჭრა და იგი მუდმივ ერთგვარ კრძალვაში დაეჭირა. ყველამ იცოდა სოციალიზმი, პროლეტარი, კლასთა ბრძოლა; იცოდენ, რომ ქვეყნად დიდი ქარხნებიც იყო და მრავალი ქალაქის მუშაც, რომ საკუთრება ბოროტება იყო, (!) ყვლეფის წყარო. გონებისა და ცოდნის ლაღა და ლარი გავლებული აღმოჩნდა, იდეალური ყოფა მიღწეული: უსწორ-მასწორობა აცდენილი და იძროდა საქართველო, მესიანურ ექსტაზით ატაცებული, კაცთა შორის სათნოების დასამყარებლად, მოკლებული თავის პროგრამას, თავის თავის ცოდნას! იწირებოდა საქართველოს აუარებელი მსხვერპლი და თვით საქარ. სამსხვერპლო არ მოსჩანდა! ქართველი ხალხის ამ მოძრაობას არა ჰქონდა, თავის იდეურ შემეცნებაში, ქართული სახე, რადგან იგი თვით საქართველოს მკვიდრ საჭიროებასთან ორგანიულად არ იყო დაკავშირებული.

მოწინავე საზოგადოება და ხალხი თავის იდეურ ცხოვრებით და მიმართულებით სხვა სფეროში ტრიალებდა, ხოლო თვით ჩვენი სინამდვილე და მისი საჭიროება კიდევ სფეროში. ერთი მეორეს დაშორებული იყო.

ეს ვითარება ჩვენში დარჩა რევოლიუციის ჩადგომის შემდეგაც, საერთო სიწყნარის დამყარების შემდეგაც. ამ ავადმყოფობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. ქვეყნის გადაუდებელი, საჭიროება დღესაც არ არის საგანი ჩვენი ბჭობის, ჩვენი ზრუნვის.

მოწინავე საზოგადოებას ვინ ჩივა, თვით ხალხი არ ფიქრობს, არ განიცდის მტკივნეულ საჭიროებას დაიკმაყოფილოს რაც აუცილებელია მის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის მუშაობას პირობების გასაადვილებლად, გასანაყოფიერებლად. იგი არ ეძიებს გამოსავალ გზას, ხალხის ჯანმრთელობა, თუ განათლება, ხელოსნობა თუ მრეწველობა, ვაჭრობა თუ აღებ-მიცემობა, გზები თუ მიმოსვლა, მეურნეობა თუ ფოსტის მოწესრიგება, საკუთრების დაცვა თუ ბოროტ-მოქმედების ალაგმვა და წესიერების განმტკიცება, ეს საკითხები არავის აღელვებს, არავის „რაზმავს“ სამოქმედოთ. მოქალაქეთ იტაცებენ, სიკვდილის დამუქრებით ფულს ართმევენ; ლალა მოხდილი და ტყვეობიდან განთავისუფლებული მოქალაქენი სამშობლოს სტოვებენ, უცხო მხარეს გარბიან და არავინ ფიქრობს შეჰქმნას ან სამოქალაქო მილიცია, ან სხვა რამე თავის დასაცავად. ამავე დროს, არის დაუსრულებელი დავა და ყვირილი იმაზედ, თუ რა ითქვა ამუნის, ლოზანის და სხვა ადგილის ეროვნულ-სოციალისტურ თუ ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონფერენციებზე. მოკამათეთა აჭრელებული სახე გეუბნებათ თუ რამდენი ნერვიული და გონებრივი ენერგია ეხარჯებათ ისეთ ფუქსავატ საკითხზე, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს არც მასთან, არც მის ქვეყანასთან!

მიდიხართ საქართველოს სოფელში, ეშურებით ნახოთ სოფლის ინტელიგენტი, გამოჰკითხოთ რაიმე ადგილობრივ მდგომარეობისა და სოფლის ცოცხალ ორგანიულ საჭიროება-ტკივილების ამბები და გაოცებული რჩებით, როდესაც ხედავთ, რომ განათლებულ კაცს, რომელსაც მთელი წლობით სოფელში დაუყვია, ამ სოფლისა არა გაეგება-რა. ვერაფერს გეტყვის, ვერაფრით დაგაინტერესებსთ. სოფლის მღვდელი, მასწავლებელი თუ ექიმი სოფლის ცხოვრებით არა სცხოვრობს. სამაგიეროდ ხალისით მოგიყვებიან თუ რამე გაუგონიათ ისპანიის კორტესში მომხდარ ინციდენტის, თუ ჩინეთის რევოლიუციის ამბავს, თუ რომელიმე სოციალისტურ კონფერენციის რეზოლიუციას. ესეც ცოტაა, სოფლის მედუქნე რა არის, ისიც დღესაც პლეხანოვ-მარტოვზედ ლაპარაკობს და „უმცირესობა“-„უმრავლესობის“ სადავო მუხლებს არჩევს. საზოგადოების გონებრივი ენერგია არ ხმარდება ჩვენი ქვეყნის ნამდვილ მდგომარეობის შესწავლას, იგი კიდევ ძველ მცონარეობას შერჩა და იქ ეძიებს გასართობს სადაც, უსიცოცხლო და მზა-მზარეული ფორმულების ამოკითხვა შეუძლიან. წარსულის შეცდომები ჯერ კიდევ ხარკსა ჰკრეფს საქართველოში.

ძველი ქართველი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

საერთო მდგომარეობა ბრძოლის ველზე არსებითათ არსად შეცვლილა. ოფიციალი დეპეშები რუსეთის მთავარ შტაბისა არავითარ ცნობას არ იძლევა. რუმინეთის ასპარეზის შესახებ დეპეშა არ მოსულა. სჩანს შემოდგომის დასაწყისი თავის გავლენას ახდენს და დროებით მოპირდაპირეებს მოქმედების საშუალებას უსპობს. აღსანიშნავია გუშინდელ დეპეშების ცნობა ინგლისელებზე თავდასხმის შესახებ. თვით ინგლისელები არა მალავენ და მათი ცნობით ასეთ გულშემზარავ, მხეცურ თარეშს დიდიდან ომის დაწყებისა ადგილი არა ჰქონია. ლონდონის სამი უბანი საშინლად დაუზარალებიათ. დაუნგრევიათ მრავალი სახლები, დაუზიანებიათ ორი უშველებელი ქარხანა, დახოცილა და დაჭრილა მრავალი მშვიდობიანი ხალხი. თვით ცეპელინები სრულებით ახალი სისტემისა ყოფილა. კერძო დეპეშები ადრევე იტყობინებოდნენ ამ ცეპელინების შესახებ. გერმანელებს საუცხოვოდ გაუმჯობესებიათ თურმე და მრავალი ცვლილება შეუტანიათ. ინგლისელებს 15 ცეპელინიდან, რომელნიც თავს დაესხნენ ლონდონს, ერთი იმდენად დაუზიანებიათ, რომ ცეცხლი მოჰკიდებია და დამწვარა, მეორე დაზიანებული ჩამოვარდნილა ლონდონის ახლოს. გერმანელების ასეთი საქციელი გერმანეთის მხრივ გაბოროტებული შურისძიებაა, ეტყობა აღარაფერს ზოგავს ოღონდ კი გული მოიფხანოს და ისეთ მტერს, როგორიც არის ინგლისი, რითაც კი შეიძლება ზარალი მიაყენოს. ცხადია, გერმანეთი არ მოეშვება და მალე ისევ თავს დაესხმება ინგლისს თავის ახალი ცეპელინებით. მიზანი მათი აშკარაა: მათ სურთ დეზორგანიზაცია შეიტანონ ინგლისში და მხეცური თავდასხმით მშვიდობიან ხალხზე აიძულოს მთავრობა დათმობის გზაზე დააყენოს. არა გვგონია, ინგლისელებზე ასეთმა მოქმედებამ საგრძნობელი და მასთან გერმანეთისათვის ხელსაყრელი გავლენა იქონიოს. პირიქით მათ ენერგიას გაუორკეცებს და მეტის სიმხნევით და თავგანწირულებით განაგრძობენ ომს.

საბერძნეთის მთავრობის ახალი თავი კალოგეროპულო გერმანოფილი აღმოჩნდა. უკანასკნელი უეჭველია ზაიმისივით მეფის სურვილების აღმასრულებელი იქნება და მოკავშირეებს რითაც კი შეეძლება წინაღუდგება. არ გამართლდა ერთხელ გავრცელებული ხმები, ვითომ საბერძნეთი პოზიციას იცვლიდეს და მალე ვენიზელოსის მეთაურობით მოკავშირეების სასარგებლოდ ომში ჩაერეოდა. კალეგეროპულოს დანიშვნა ეს გერმანოფილების გამარჯვებაა. რამდენს ხანს გასტანს ასეთი მდგომარეობა გამოცნობა ძნელია. ეს კია, რომ გერმანელები ისარგებლებენ საბერძნეთის ნეიტრალიტეტით და შეეცდებიან რაც კი შეიძლება მალე ბალკანეთის საკითხს თავის სასარგებლოდ გადასწყვიტონ.

მოკავშირეები უეჭველია გულხელდაკრეფილი არ ისხდებიან და ისეთ ზომებს მიიღებენ, რომელიც უზრუნველ ჰყოფს გენ. სარაილის არმიას რაიმე ხიფათისაგან.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

13 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთისა და კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

12 ენკენისთვე.

**ნიუიორკი.** რკინის გზებისა და ტრამვაის პატრონებმა მოსამსახურეებს ნება არ მისცეს შრომის ორგანიზაციის წარმომადგენელთა კავშირში შესვლისა. თუ ეს დადგენილება არ გააუქმეს, ოთხშაბათს, დილის 8 საათზე ათასობით ქარხანაში შეჩერდება მუშაობა, შესწყდება მიმოსვლა და აგრეთვე გემთა ამშენებელ ქარხნებშიაც შეჩერდება მუშაობა.

**რომი.** კარსოზე მოპირდაპირემ იერიში მოიტანა „208“ სიმაღლეზე, ვილანოვის სამხრეთით. მოპირდაპირის მცირე რაზმი შემოიჭრა ჩვენს თხრილებში, მაგრამ მაშინვე გავდევნეთ. დილით განაახლეს შემოტევა აგრეთვე „244“ სიმაღლესთან, მან ფოლკონე ჩრდილო-აღმოსავლეთით მოვიგერიეთ.

მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს მონტევეკში, ორეში, ვიჩენცას და ზემო ანსიესში მისურიდის ოლქში. ზარალი არ მიუყენებიათ.

**პარიზი.** საღამოს ოფიციალი ცნობა. სომას ჩრდილოეთით, ტიომონისა და ფლერის მიდამოებში და მაასის მარჯვენა ნაპირას ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა. მთელ ბრძოლის ხაზზე თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

11 ენკენისთვეს ღამე, 7-მა ჩვენმა მფრინავმა რემზახისა და ტიონვილის ქარხნებს 46 ყუმბარა ესროლეს. კაპიტანმა დე-ბოშანმა და პარუჩიკმა დ'ოკურმა დილის 11 საათზე 12 ყუმბარა ესროლეს ესენის ქარხანას ვესტვალში და უვნებლად დაბრუნდნენ. მათ გაიარეს 800 ვერსი.

10 ენკენისთვეს ღამე „ცეპელინი“ გამოჩნდა კალეს მიდამოებში, სროლა აუტეხეთ და ისე გავაბრუნეთ, რომ ვერც ერთი ყუმბარა ვერ ჩამოაგდო.

**რომი.** ლედროს ველში 9 ენკენისთვეს მტრის რაზმი ლენგუშას ჩრდილო-აღმოსავლეთით უკუ ვაგდეთ. ასტიკოს ველში 10 ენკენისთვეს განთიადისას, ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ მოპირდაპირემ ნაღმი ააფეთქა მონტე-სელიუ-ჯიოზე. ჩვენი ჯარი იძულებული გახდა 100 ადლით უკან დაეხია ამ მთის ქედიდან.

**ლონდონი,** ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა. სტრუმის ბრძოლის ხაზზე ჩვენი ჯარი სამ ადგილას გადავიდა მდინარის მეორე ნაპირას. აქ სოფელი ესიმი ავიღეთ. მტერს ფეხდაფეხ გავყვეთ და ყარაჯაქოზალზე იერიში მივიტანეთ. მოპირდაპირემ მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. დოირანის ბრძოლის ხაზზე ჩვენი მზვერავი რაზმები მოქმედებას ანვითარებენ. დიდი ნილი ზარბაზნის მოქმედებას აფერხებს.

**საღამოს ცნობა.** საფრანგეთის ასპარეზზე, ანკარში მოპირდაპირემ იერიშები მოიტანა ლემეფის დასავლეთით, მაგრამ მოვიგერიეთ.

გუშინ მტრის 5 ჰაეროპლანი გავანადგურეთ. 2 ჰაეროპლანი იძულებული გავხადეთ ძირს დაშვებულიყო. ჩვენი 5 ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

**პეტროგრადი.** ფინანსთა საბჭომ ბრძანება გამოსცა, საომარ დროის გამო, აიკრძალოს მთელი იმპერიიდან ცხენების გაყვანა ფინლიანდიაში.

**მუკდენი.** იაპონიის ნარევი რაზმი გენერალ-მაიორ სანტის სარდლობით გუნჩულინიდან ჩანდილინიაში გაემართა, იქ მყოფ ცხენოსან პოლკის სანაცვლოდ, რომელიც ფეხდაფეხ სდევნის მონგოლეთის მეამბოხეებს. ჩინელები თურმე თავდასხმას უპირებენ ამ ცხენოსან ჯარს.

**თეირანი.** რუსეთის გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული იმ ნოტის თაობაზე, რომელიც განიხილეს რუსეთ-ინგლისის დესპანებმა და სეპეხდარის კაბინეტმა. ამ ცნობამ საგონებელში ჩააგდო სპარსელები, რომელთაც ეს საქმე ისე მიიჩნიეს, ვითომც რუსეთი და ინგლისი სპარსეთზე პროტექტორატორობას ამყარებდნენ. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის სანდო წყაროებიდან შეუტყვია, რომ მეგობარ სახელმწიფოთა შეთანხმება ეხებოდა სპარსეთის ფინანსიურ და შინაურ მდგომარეობის მოწესრიგებას, რის განსახორციელებლადაც საჭიროდ ჩასთვალეს სპარსეთში თვალსაჩინო ჯარის თავმოყრა.

**რიგა.** ვეგეფოლდზე დაჰფრინდა გერმანელების ოთხმოტორიანი ჰაეროპლანი „ილია მურომეცის“ კონსტრუქციის მაგვარი. რიგას დილით ჰაეროპლანი დასტრიალებდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საბერძნეთი**

ინგლისის პოლიტიკურს წრეებს სრულებით არ აკმაყოფილებს საბერძნეთში დამყარებული ახალი ვითარება და ახალი კომიტეტი.

ახალ მინისტრ-პრეზიდენტს კალოგეროპულოსს უთქვამს: „გერმანოფილი კი არა ვარ, მაგრამ გერმანეთი მიყვარსო“.

მეფე კონსტანტინე დიდხანს ეთათბირა ჯერ ახალ მინისტრ-პრეზიდენტს კალოგერაპულოსს, მერე მთავარ შტაბის უფროსს გენ. მოსკოპულოს და გენ. სოტილისს.

მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანები ერიდებიან ახალ მინისტრ-პრეზიდენტთან სადარბაზოდ მისვლას.

საბერძნეთის საზოგადოებრივი გულისთქმა იქითკენ იხრება, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ზაიმისის დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ და საბერძნეთის, მთავრობა არა სასურველ ელემენტებისაგან გასწმინდონ.

**რუმინეთი**

ბუქარესტიდან დეპეშით იტყობინებიან: რუმინეთის გაზეთები განსაკუთრებულ გულისყურს აქცევენ იმ გარემოებას, რომ რუმინეთის სამხრეთ ასპარეზზე რუმინეთის ჯარის წინააღმდეგ იბრძვიან არა მარტო ბულგარელები, არამედ გერმანელები, ავსტრია-ჰუნგრელები და ოსმალებიც. ეს ჯარი გადმოუყვანიათ სალონიკის მიდამოებიდან დობრუჯში. აქ მაკენზენი სცდილობს არ შებღალოს მოხვეჭილი სახელი განთქმული სტრატეგისა და აქ მაინც უსათუოდ გაიმარჯვოს, რადგანაც სხვა ასპარეზებზე მოპირდაპირენი ყველგან მარცხდებიანო. ამას წინად მაინცში მომხდარი საგანგებო თათბირიც მოპირდაპირის გაჭირვებულ მდგომარეობას მიეწერებაო.

„ტაიმსი“ დობრუჯის მდგომარეობის გამო სწერს: თუ რუმინეთს სჭირდება ჩვენი სწრაფი და დაუყოვნებელი დახმარება, მისთვის არაფერს დავიშურებთ, რადგანაც მისი ინტერესებიცაა. რაც უფრო მალე შეიჭრება გენერალი სარაილი მონასტირში, მით უკეთესია. ბულგარელებს ისე არაფერი დასწყვამს გულს, როგორც მონასტირის ხელიდან გამოცლა იმ დროს, როდესაც თვითონ რუმინეთის დობრუჯის ხრიოკებში წინ მიიწევენო.

**დასავლეთი მაკედონია**

ათინიდან იტყობინებიან: ბულგარელები დასავლეთ მაკედონიაში მთელი ბრძოლის ხაზით სწრაფად უკან იხევენ. მონასტერს უკვე სცლიან. ბულგარელები სწრაფად გადიან მონასტირიდან და არქივი უსკიუბში გადააქვთო.

დასავლეთ მაკედონიიდან გახიზნულები, ფლორინის აღების შემდეგ საშობლო კერას უბრუნდებიან.

**ავსტრია ჰუნგრეთი**

„კორესპონდ. ბიურო“ იტყობინება: ბულგარეთის მეფე ფერდინანდი, ტახტის მემკვიდრე ბორისი და ენვერფაშა გერმანეთის მთავარ-ბანაკიდან, ავსტრიის მთავარ-ბანაკს ესტუმრებიან.

**გერმანეთი**

მიუნჰენში ახალი კომიტეტი შემდგარა, რომელიც მიზნად ისახავს „ინგლისის სწრაფ განადგურებას“. „ვორკარც“-მა ეს კომიტეტი „გადარეულ კომიტეტად“ მონათლა. ამ კომიტეტმა მოწოდება გამოსცა, რომელსაც ბავარიის მემარჯვენე დეპუტატები აწერდნენ ხელს. ეს დეპუტატები ამას წინად მეფე ლუდოვიკს წარუდგნენ, რომელმაც მათი მისწრაფება სასტიკად დაჰგმო. კომიტეტის მოწოდებაში ნათქვამია, ინგლისის დამარცხება მხოლოდ ზღვაზე შეგვიძლიანო.

**ჰოლანდიის მზადება.**

წელს მარტში ნიდერლანდია გაშმაგებით ემზადებოდა საომრად. მაშინ ხმა გავრცელდა, ინგლისი ჰოლანდიაში ჯარის გადაყვანას აპირებსო. ეხლაც კვლავ ამოძრავდა ჰოლანდია და გაფაციცებით ირაზმება. ვის წინააღმდეგ აპირებს იგი ამხედრებას, გადაჭრით არ ითქმის. ჰოლანდიას თავისი ჯარი 650 ათასამდე მიუყვანია, ამათგან 350 ათასის გამოყვანა ყოველწუთს შეუძლიან. ჰოლანდიის ოფიციოზი „ჰანდელსბლადი“ სწერს: ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ყოველწუთს შეიძლება მტერს პირის პირ შევხვდეთო.

„პოლიტიკენი“ იტყობინებოდა ამ რამდენიმე დღის წინად: ლუქსენბურგის საზღვრებიდან და ჰოლანდია-ბელგეთის მოსაზღვრე ადგილებიდან გერმანელებმა ჯარი გაიყვანესო.

რუმინეთის გამოსვლის მერე ჰოლანდია უფრო გაფაციცებით შეუდგა საომარ მზადებას. მას ომში ჩარევა არა ჰსურს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, შესძლებ მტერს მოიგერიებსო.

## უკანასკნელი დეპეშები

**ჰინდენბურგი დობრუჯის რაიონს დიდ ყურადღებას აქცევს და შესაძლებელია ამ მიდამოებში დიდი ამბები მოხდეს.**

—

**გენერალ სარაილს მთელს თავის ფრონტზე დიდი მოქმედება დაუწყვია და ინგლისის ფლოტიც მოუშველებია, რახაც შედეგად ის მოშვლია, რომ გერმანეთ-ბულგარეთის ჯარს მოქმედება დობრუჯთან შეუჩერებია.**

—

**ტურტუკაიასთან ბრძოლის დროს გერმანელებმა და ბულგარელებმა 20 ათასი მეომარი დაჰკარგეს.**

—

შვეიცარიიდან იტყობინებიან, რომ პოლონეთის ლეგიონებს დაერქმევათ დამხმარე კორპუსები და მიეცემათ განსაკუთრებული დროშები. მხოლოდ იხევ ავსტრია-გერმანეთის განკარგულებაში იქნებიან.

—

გერმანეთი საბერძნეთს თავდებად დაუდგა, რომ ბულგარეთ-გერმანელთა ჯარში არ გასცილდება მდინარე ხარანტოპოს.

—

ტიდენდეს ცნობით, საბერძნეთის მდგომარეობა მეტად სერიოზულია, ახლოვდება ის დრო, როდესაც საბერძნეთი ან იქით, ან აქეთ გადაიხრება.

—

ლონდონში მთავრობას კომისია შეუდგენია, რომელმაც უნდა იზრუნოს, რომ ჯარში მეტი ხალხი ჩაეწეროს.

—

კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობით გერმანელ გაზეთებში მოთავსებულია ჰინდენბურგის ხელთნაწერი, რომლითაც ირწმუნება, რომ გერმანეთის ხალხი გაიმარჯვებს მოწინააღმდეგეზე არა მხოლოდ მახვილით, არამედ ფულითაც და ამას დაგვიმტკიცებს სამხედრო სესხით.

—

კერძოდ იტყობინებიან, რომ გერმანელები დობრუჯის რაიონს დიდ ყურადღებას აქცევენო. გერმანელთა სამხედრო შტაბმა კაიზერის, კობურგის და ენვერ-ფაშის თანდასწრებით ჰინდენბურგის გეგმა მოიწონა.

თათბირი მეტად მღელვარე იყო.

ენვერფაშამ მიაწვია იმას, რომ ოსმალებს დიდი კონპენსაცია აღუთქვეს. ამ გვარად შეადგინეს 700 ათასიანი არმია, რომელიც დობრუჯაში მოქმედებდა და მაკენზენს დაუქვემდებარეს. უკანასკნელ ცნობის მიხედვით ამ მიდამოებში მოკავშირენი იმარჯვებენ და როგორც დობრუჯაში, ისე სერბეთის საზღვარზე ბულგარელები უკან იხევენ.

—

კაიზერი მისულა კოველში, სადაც შეჯგუფებულია გერმანეთის ჯარის მთავარი გამგებლობა. თათბირი ყოფილა აგრეთვე ლვოვში კაიზერისა და მაკენზენის თანდასწრებით.

—

დობრუჯაში რუსის ჯარის დაჭრილთა ნაწილი რუსეთში მოჰყავთ.

—

„ნოვოე ვრემიას“ ცნობით, ლვოვში რაც კი რამ რუსულ ხასიათის მომაგონებელი იყო, გერმანელებმა სრულიად ელფერი შეუცვალეს. რუსული სასულიერო სასწავლებელი ინვალიდების სკოლად გადააკეთეს. სახალხო სახლი—უკრაინის გიმნაზიად, სტავროპიგია—უკრაინელ ლეგიონთა ბანაკად; რუსეთ-გალიციის მატიცა—სამხედრო საწყობად; კაჩკოვსკის საზოგადოებაში უკრაინელთა კავშირი დამკვიდრდა.

—

„ბ. ვედომოსტი“ სწერს: ფრანგების 8 ენკენისთვის თარიღის ცნობით, როდესაც გერმანელებს ყველა ფრონტზე მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიება მოუხდათ, სომასთან მეთვრამეტე კორპუსს და მე-214-ე დივიზიას მიუღია მონაწილეობა.

—

გერმანელებს დიდის გაჭირვების შემდეგ, მხოლოდ ეხლა შეუგროვებიათ 100 კორპუსი და 200 დივიზია; მაგრამ ეს მე-214-ე დივიზია ძნელად თუ ეს იმას უნდა ჰნიშნავდეს, რომ გერმანელებს მართლა 100 კორპუსი, ანუ 4 მილიონ ჯარი ჰყავთ ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილი ამ ჯარისა და დიდის ხიძნელით შემდგარი მოთადარიგენი იმყოფებიან ჰინდენბურგის განკარგულებაში, რომელსაც იმედი აქვს ამ ჯარით შემოზღუდულ რკალიდან გამარჯვებით თავი დაახწიოს.

## დირიჟაბლების თავდასხმა

(პ. დ. ს.)

**ლონდონი.** ოფიციალი ცნობა. გერმანელების 14—15 დირიჟაბლი 11 ენკენისთვეს, ღამე დაეცა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოს და ლინკოლნის აღმოსავლეთის შუაგულს. ლონდონზე იერიში მოიტანეს აღმოსავლეთიდან მოსულმა დირიჟაბლებმა ღამის 12—1 საათზე. დირიჟაბლები განდევნეს, თუმცა მაინც მოახერხეს ყუმბარების ჩამოყარა ლონდონის სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთის ნაწილში. სამწუხაროდ, 28 კაცი მოკლულია, 99 დაჭრილი. ორი დირიჟაბლი ესსექსში ძირს ჩამოვაგდეთ. ორივე ახალი ტიპის დირიჟაბლია. ერთზე მყოფი 22 აფიცერი და მეომარი დავატყვევეთ. მეორე დირიჟაბლი შიგ მსხდომ ხალხიანად დაიწვა.

დამატებითი ცნობა: თავდასხმაში მონაწილეობდა არა უმეტეს 12 დირიჟაბლისა. მიდლენდის პროვინციაში ყუმბარებით მოუკლავთ 2, დაუჭრიათ 11. ჰფიქრობენ, ნანგრევებში უფრო ამაზე მეტია მოყოლილი. დაზიანდა სადგური, დაინგრა თითქმის 12 სახლი და მაღაზია, დაიწვა ეკლესია და საწყობი. პროვინციაში აუარებელი ყუმბარები ჩამოუყრიათ. ბევრი ყუმბარა ზღვაში ჩაცვივნულა. ლონდონში მოკლულია 17 კაცი, 8 დედაკაცი, 3 ბავშვი, დაჭრილია 45 კაცი, 37 დედაკაცი, 17 ბავშვი. პატარა სახლებისა და დუქნების უმეტესი ნაწილი დანგრეულია და გადაბუგული. ორი დიდი ქარხნის ნაწილიც დაზიანდა. სამხედრო ზარალი არაფერი მოგვსვლია.

## ახალი ამბავი

**უმაღლესის ბრძანებით შემოწმებისაგან გაანთავისუფლეს ის თეთრბილეთებიანები, რომლებიც მუშაობენ რკინის გზის გაყვანაზე ან რკინის გზის ექსპლუატაციაში. აგრეთვე გაანთავისუფლეს ის მუშებიც, რომლებიც სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს ემსახურებიან და იმყოფებიან სამხედრო საკრებულოებიდან 25 ვერსის მოშორებით. (პეტ. დეპ. სააგ.)**

**სასახლეში.**

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგნენ ობერ-პროკურორი საკასაციო დეპარტამენტისა ვ. პ. ნოსოვიჩი და სენატორი ი. ა. კუზმინი.

**მთავრობის დაწესებულებანი**

◆ **ჯარში გაწვევა.** თანახმად მიღებულ ცნობისა 1917 წელს უნდა გაყვანილ იქმნენ ის პირნი, რომელნიც 1898 წელს არიან დაბადებულნი ანუ 19 წლისანი. თბ. სამხედრო ზვგრის საკრებულომ ცნობები ამ ჯარში გასაწვევთა შესახებ სამხედრო უფროსს უნდა წარუდგინოს 1917 წ. 1 იანვრისათვის.

◆ **ჯარში გაწვეულთა შეღავათის** მიმცემი კომიტეტი აუწყებს, რომ პირველ და მეორე ხარისხოვან მოლაშქრეთა ჯარში გაწვევის გათავების გამო თხოვნების მიღებას კომიტეტი სპობს; და გარდა ამისა კომიტეტი აცხადებს, რომ 1 ოქტომბერს დანიშნულია განმეორებითი შემოწმება თეთრბილეთიანებისა 1916—1910 წლისა, სამხედრო სამსახურში გასაწვევად. ამის გამო ის დაწესებულებანი, რომელნიც ომის საქმეს ხელს უწყობენ, მოვალენი არიან 28 ენკენისთვემდე წარადგინონ სიები ამ დაწესებულებებში მოსამსახურე თეთრ ბილეთიანების შესახებ.

◆ **მეფის ნაცვლის** სამოქალაქო ნაწილის თანაშემწემ შუამდგომლობა აღძრა თანახმად ქალაქის გამგეობის შუამდგომლობისა ფოთში რეკვიზიციით დატყვევებულ 53 ვაგონ თქვილის ჩამოტანის შესახებ ქ. თბილისში.

**ქალაქის დაწესებულებანი.**

◆ **ფქვილი.** ქალაქის გამგეობას 69 ვაგონი ფქვილი ჰქონდა დაბევებული კაბჩენკოს წისქვილში, სადგურ „ნეზლობნაიაზე“, წინანდელ ფასებში. პირობა ასეთი იყო, რომ ქალაქს ფქვილი უნდა წამოეღო 1 ენკენისთვემდის, მაგრამ ქალაქის გამგეობამ დანიშნულ ვადამდე ვაგონი ვერ იშოვა და ამიტომ დადებულ ხელშეკრულობას ძალა დაეკარგა. ეხლა ქალაქის გამგეობამ სთხოვა აღნიშნულ ფირმას, რომ ახალ აწეულ ფასებში მაინც დამითმე აღნიშნული ფქვილიო, მაგრამ ჯერ არავითარი პასუხი არ მოსულა ფირმისაგან.

◆ **ხოლერა.** 13 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ ხოლერიანი 118, ხოლერის ნიშნებით 18 კაცი. 12 ამა თვეს გარდაიცვალა ხოლერიანი 3 და გაეწერა ლაზარეთიდან 3 კაცი. ხოლერის ნიშნებიანთაგან გაეწერა ლაზარეთიდან 1 და გადარიცხულ იქმნა ხოლერიანებში 4 კაცი.

◆ **გადამდები სნეულებანი.** 13 ამა თვეს, დილით, ქალაქის საავადმყოფოში ირიცხებოდნენ: ქუნთრუშიანი 83, ხუნაგიანი 23, ყვავილიანი 3, მუცელათი 14, საოფლიანი 149, სახადიანი 20 კაცი.

◆ **ვალის გასტუმრება.** ქალაქის თვითმართველობისა ემართა სამხედრო უწყებას დიდძალი ფული წყლის ფასი. უწყებამ გადაუხადა თვითმართველობას ამ ვალის ანგარიშში 117 ... სი მანეთი 1914 წლამდის, ხოლო აქეთ დახარჯული წყლის ფასი ... ვალად დარჩა.

◆ **წყლის საქმებრად.** ქალაქის მ... რავი ა. ი. ხატისოვი, ქალაქის ინ... ნერი ბ-ნი ქურდიანი და საბჭოს ... დენიმე ხმოსანი დღეს დილით, მ... გზავრებიან ბულაჩაურის წყარო... დასათვალიერებლად. წყაროებისავე... სათვალიერებლად 24 ამა თვეს წ... ში მიემგზავრებიან ქალაქის თვით... თველობის საგანგებო ბიუროს ... რები.

**კლუბებში**

◆ **ხარფუხის კლუბი.** ხუთშაბ... 15 სეკტემბერს, ხარფუხის კლუ... გაიმართება ქართ ლ ენაზედ წარ... დგენა. წარმოდგენაზე შესვლა უ... სოა.

**სხვა და სხვა ამბ...**

◆ **თბილისის ფოსტა-ტელეგრა...** უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ, ... შინაგან საქმეთა სამინისტროს გა... რგულებით, ამა თვის 17-ს აკრძა... ლია მისალოც დეპეშების მიღება. სალოცი დეპეშები მიიღება მხოლ... სამეფო საგვარეულოს სახელობაზ... მათგან გამოგზავნილი.

◆ **მოლაშქრეთა ჯარში გაწვ...** გუშინ ერთიან დამთავრდა პირ... და მეორე ხარისხოვანთა ჯარში ... წვევა. დღეს იწყება მოლაშქრეთა ... წვევა თბ. მაზრიდან, რომელიც ... დღეს გასტანს. შემდეგ დაიწყება ... რჩალოს მაზრის მოლაშქრეთა ჯარ... გაწვევა.

◆ **ფქვილის სპეკულიანტები ...** **სცხრებიან.** ამ რამდენიმე ხნის წინ... თბ. გუბერნატორის სახელზე სადგ... „სვიატოგოკრესტი“-დან მოსულა ... ვაგონი ფქვილი. ამ რიცხვიდან თა... ხმად ქალაქის გამგეობის შუამდგ... ლობისა ბ-ნ გუბერნატორს დაუთ... ქალაქისათვის 15 ვაგონი. ეს ფქვ... ქალაქის გამგეობას დაურიგებია ... ფურნეებისათვის ხუთ ფუთიანი მე... კი 14 მან. და 50 კაპ. ხოლო თ... მეფურნეებს მიუყიდნიათ ვაჭრებზე ... მანეთად.

**თელავი**

როგორც გავიგეთ თბილისიდან ც... ბა მოსულია ალავერდის ეპ. ყოვ. სა... პირისს, რითაც ატყობინებენ, რომ ამ თვეს მობრძანდება ავტომობილ... შუამთის მონასტერში საქართველ... ექსარხოსი ყოვლ. უსამღ. პლატო... საიდანაც მეორე დღეს წაბრძანდ... ალავერდში ამ ტაძრის დღესასწაულ... დასასწრებლად.

— დიდგა ენკენისთვე და იქამ... საგრძნობლად აცივდა, მეტადრე დი... საღამოთი, რომ თითქმის ყველამ ... ზამთრო სამოსელი ჩაიცვა.

— წელს კახეთში სხვა წლებ... შედარებით ძალიან ნაკლები იყო ... ნის მოსავალი. ნაცარმა ყურძენი ... აფუჭა.

— აქაურ მომხმარებელმა საზო... დოებამ ამ დღეებში დაიწყო შაქ... ფხვნილ ს გაყიდვა, რომელიც ამ ... კვირის წინ მიიღეს 1 ვაგონი. თა... წევრებზე. გირ. 21 კაპ. ჰყიდიან. ... თო წევრს ნება აქვს გაიტანოს ... გირვანქა.

**დ. ბელ ამურ...**

8 ენკენისთვეს ცნობილმა სახ... ხო მომღერალმა ს. კავსაძემ ... მართა კონცერტი; კონცერ... ხალხი ბლომად დაესწრებოდა, ... ბილეთები ძვირ ფასიანი არ ყოფი... ყო; საზოგადოება ნასიამოვნები ... შალა.

— ადგილობრივ კოოპერატიულ ... ქანში შაქრის ფხვნილისა და მარი... მეტი არა იშოვება რა; ამის მიზე... საჭირო თანხის უქონლობ ს ასახე... ზენ; ადგილობრივმა ერთამანეთში ... კინკლავე ინტელიგენციამ ამ სპე... ლიაციის ხანაშიაც ვერ შესძლო ... ზოგადოებისათვის შეეგნებინებ... მომხმარებელ საზოგადოების მნიშ... ლობა, რომ ყველას შემოეტანა თ... წვლილი და ჩაწერილიყო წევრად.

**ს. ქიცხ...**

ადგილობრივმა შენახველ-გამსე... ბელმა ამხანაგობამ მიიღო ერთი ვ... ნი სიმინდი, კარგი ღირსებისაა, ... ფუთი 1 მ. 10 კაპ.

— ადგილობრივ ორ-კლასიან ... სავლებელს წელს მრავალი მოსწა... ბავშვები მოაწყდა; მოელიან მე... მასწავლებელს.

— როგორც სიმინდის, აგრ... ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლ... სი შილობა წელსაც აუცილებე... მოლაშქრეთა გაწვევის გამო ხა... ეშურება და მოუსვლელ ყურძენს ... ფავს.

# ხევსურთა დეპუტაცია

გუშინ ჩვენ რედაქციას ესტუმრენ ხევსურები, წარმომადგენელნი პირაქეთ და პირიქით ხევსურებისა და აგვიწერეს თავის შევიწროებული მდგომარეობა. ამ ჟამად ეს წარმომადგენელნი საგონებელში არიან ჩავარდნილნი ლურჯ ბილეთიანთა ჯარში გაწვევის გამო. ერთად ერთი თხოვნა ამჟამად შეადგენს ამ ლურჯ ბილეთიანთა შეღავათის მიცემა, ვინაიდან ისედაც მოწყვეტილი კუთხე მთლად უკაცოდ არის დარჩენილი და ოჯახი ბავშვებისა და საპყართა ანაბარად არის მიგდებული. ქისტების თარეშობას ხომ საზღვარი არ აქვს, ისედაც განწირულ მდგომარეობაში ჩაცვივნული ხალხი უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. დეპუტაციას სურს უმაღლეს წრეებს პირადად გააცნოს თავისი სავალალო მდგომარეობა.

# პურის სიძვირე

ფქვილის სიმცირით გამოწვეული კრიზისი თბილისში გრძელდება. პური კვლავ ცოტა ცხვება და ხალხი დღე და ღამე არ შორდება ფურნეებსა და თორნეებს. კრიზისმა თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო: ბევრი ოჯახიდან მოსწავლეები სკოლაში ველარ მიდიან, ანუ სწავლას აგვიანებენ, ხოლო დანარჩენი ბავშვები მშიერი კუჭით მიდიან სასწავლოდ. ქალაქის თვითმართველობას ერთი მისხალი ფქვილიც არ მოეპოვება არც თბილისში და არც გზაში. თბილისის ბატონ-პატრონნი ხალხის გამოკვების მხრივ ამ ჟამად ჩარჩები არიან. გასაოცარ მოვლენას ამ გაჭირვების დროს კიდევ ის წარმოადგენს, რომ თბილისის გუბერნატორის სახელზე მოსული ცოტაოდენი ფქვილიც, რომელიც პროვინციებისთვის არის დანიშნული, ჩარჩებს უვარდებათ ხელში. ეს უკანასკნელნი ამ ფქვილს ჰყიდიან ფქვილის საწყობის პატრონებზე, რომელნიც ამას შეინახავენ უკიდურეს გაჭირვების დრომდე, როცა ერთს ოცად გაასაღებენ. ჯერ-ჯერობით ქალაქის პატრონი არავინ არის. ქალაქის საბჭოც 19 ამა თვემდის არ აპირებს შეკრებას. ასეთ გარემოების შექმნაში დიდი წილი უდევს ქალაქის თვითმართველობას ბ-ნთ ჯაბარისა და შავერდოვის მოქმედებით. ქალაქის გამგეობამ ხალხის გამოკვების საქმე ხელთ იგდო არა მარტო თბილისში, არამედ პროვინციებშიაც. ამ უფლებით მან ბოროტად ისარგებლა: პირველი აქტი მისი მოქმედებისა ამ სფეროში იმით გამოიხატა, რომ მოსპო ყოველივე კერძო ინიციატივა არა მარტო კერძო ვაჭრების, არამედ კოოპერატივებისაც. გამგეობამ აღარავის მისცა „ნარიადები“ ვაგონებისა ფქვილის მოსატანად და მთელი ვაჭრობა ფქვილისა თავისს ხელში მოათავსა. ამ რიგად ის გახდა მაზანდის დამწესებელი, როგორც ფქვილის ყიდვაში, აგრეთვე გასყიდვაში. ჩვენმა გაზეთმა იმ თავიდანვე პროტესტი განაცხადა ასეთი რეჟიმის დამყარების წინაალმდეგ, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია და, აი, დღეს ყველანი ჰხედვენ, ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი. ეხლა მაინც დროა ყველამ ყურადღება მიაქციოს ხელოვნურად შექმნილ კრიზისს და საქმის გამოსწორებას შეუდგნენ.

# ქრონიკის საგულისხმო ნიმუშები

„„თიანეთის საზოგადოების მოწინავე ელემენტებს შეუქმნიათ მამული ჩვენებური საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად,“—აი უბრალო ცნობა, რომელიც ახალ ამბად იყო გამოქვეყნებული ჩვენს გაზეთის ფურცლებზე. ერთის შეხედვით თითქოს ეს ამბავი საიმისოს არას ამბობს და მაზე მითითება ეუცნაურება მკითხველს. მაგრამ გასაკვირველი აქ არა არის რა. მეტად მიმაჩნია შევჩერდე იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ყოველგვარ ჯიშის გაუმჯობესობას, იქნება ეს საქონელი, ხეხილი, მცენარეული, ფრინველი თუ სხვა. ამ ამბავს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებული და სწორედ იმიტომაა სასიხარულო. საზოგადოდ მთა და უფრო კი ხევსურეთი, როგორც ვიცით, მოკლებულია სახნავ მიწებს. მთელი მათი საცხოვრებელი საქონელზეა დამოკიდებული. ესაა მათი გზა და ხიდი, ესაა პურიც, ესევე ითვლება მათ რკინის გზად, ავტომობილად, ერთი სიტყვით, ყოველისფრად. მაშასადამე, ახლად დაარსებული ამხანაგობა თუ საზოგადოება ამ გადადგმული ნაბიჯით ბევრად წინ წასწევს ხევსურთა ცხოვრებას, და თუ ერთიანად არა, ბევრად მაინც გამოასწორებენ და წინ წასწევენ მათ არა თუ ეკონომიურს, არამედ სოციალ ცხოვრებასაც. ხევსურეთი დღემდე დამფრთხალს, უკიდ, დაჭრილს ნადირს ჰგავს, რომელიც ფრიალოთა ყინულებს შეჰფარვია დაბლა არ იყურება და ტრადიციის დარღვევის შიშით სასტიკს კარჩაკეტილს ცხოვრებას ეწევა. მას არა სჯერა-რა კულტურისა, არც უნდა გაიგოს მისი გემო. ასეთის საშვალებით კი შეგვიძლიან თვალი აუხილოთ, ვაჩვენოთ, რომ სწავლა-განათლებას ბევრი რამ შეუძლიან. პრიმიტივობა და ველური ცხოვრება ჩაბარდა საუკუნეს, დროა გაფხიზლება, გაადამიანება.

არა ნაკლებ სამიამოვნო ამბავი გამოქვეყნდა ჩვენსავე გაზეთის ფურცლებზე თელავის ინტელიგენციის შესახებ. ადგილობრივს ძალებს განუზრახავთ ტყის საქმის წარმოების მოწესრიგება. მხედველობაში აქვთ შეშა რ გიან ფასებში წამოიღონ და ტყესაც მოუარონ. ტყის მოვლა, როგორც ვიცით, ჰხდება არა რაციონულად. ისე, როგორც ძველს დროს, ეხლაც ტყეებს სჩეხენ და ანადგურებენ, როგორც მოჰხვდებათ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველო, განთქმული ტყით, დღეს თითქმის შეშის კრიზისს განიცდის და მეორეც, აღარ სჩანს აუარება მდინარეები და თვით ჩვენი მცხოვანი მტკვარი, ძველად სანაოსნო და ცნობილი კიროსისგან ერთს უდიდეს მდინარედ, დღეს შეთხელებულა და ტივებსაც ველარ ეზიდება ძველის სითამამით. მაგრამ საქმე მარტო ტყის შენახვა როდია. თუ კი ეს საზოგადოება მაგრად ჩაჰკიდებს ხელს ამ ახლად დაწყებულს საქმეს, თვალწინ გარდაგვეშლება საუცხოვო პანორამა: დღემდე ჩვენი ბუნების სიმდიდრით ქართველთ ვერ გვესარგებლნა. ჩვენი იყო ტყე, შეშა, ნახშირი, ვამუშავებდით მინდვრებს, ვთესდით, ვმკიდით და ვლეწდით, ჩვენვე ვიწეოდით დაფქვის ჰაპანს და ბაზარზე კი სხვის ხელში ვხედავდით შეშას, ნახშირს, ფქვილს... ქართველთ არ გვკუთვნებია არც ერთი დარგის საწყობი, სხვათ ჰქონდათ, რაღაცა მანქანებით ჩვენი ქონებით უცხონი ჰხარობდნენ. თელავის ინტელიგენტთა ჯგუფს შეიძლება გათვალისწინებული არც კი ჰქონდეს ამ თამამი ნაბიჯით რა ეროვნული საქმისთვის მოუკიდნია ხელი. პრაქტიკიული გამოსვლა და საქმიანობა,—აი დევიზი, რაც ახალგაზრდა საქართველოს უნდა ძველს ტირილსა და ტრაბახობის ადგილას დააყენოს. და აი, თელაველნიც პიონერები გახდებიან ამიერიდან. ლაღია ამ საქმის მომავალი, თუ კი ინიციატორთა მხნეობა და გარჯილობა არ გაცივდება და დროებითი აღფრთოვანებით არ შეიკვეცება. თუ მათ მიჰბაძეს ბელგიელ მუშებს, რომელთაც ამ ოცდა-ათ წლის წინედ 30 ფრანკი მოჰკრიბეს და მით დაიწყეს კოოპერატიულს ნიადაგზე ფქვილის წარმოება, რაიც უკანასკნელად მილიონებზე გადავიდა და მთელი ბელგეთის ფქვილის საწყობების ბატონ-პატრონი გახდნენ, მაშინ უნდა დარწმუნებული ვიყვნეთ, რომ თელაველთა ჯგუფიც გაიზრდება დიდ საზოგადოებად, რომელიც შეშისა და შემდეგ ნახშირის წარმოებას ჩაიგდებს ხელთ და ფართო ხასიათს მისცემს მათ.

მაგრამ ყველაზე სასიხარულო ამბავი მეამე ცნობაა ჩვენივე გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული, რომელიც ეხება თუშეთში შემდგარ ამხანაგობას. ამხანაგობაშიო,—ნათქვამია ქრონიკაში,—შევიდა სოფელი წოვა, ფარსმა, დირთლო, ნაციხარი და ჯვარბოსელი. აი ამ სოფლების ამხანაგობას მტკიცედ გარდაუწყვეტიათ მატყლის წარმოება აღარავის ჩაუგდონ ხელში. როგორც ვიცით, დღემდე მთელი მთის მატყლი ახალგორელ ჩარჩების ხელში იყო ჩავარდნილი. როგორც ქიზიყელი მეთამბაქოენი დამოკიდებულნი არიან სიღნაღისა და ადგილობრივ ჩარჩებისაგან, ისე მთა ახალგორელებს ჩაეგდოთ და თავიანთ ქეიფზე ათამაშებდნენ. და აი, ასეთი ამხანაგობის დაარსებით იწყება პერმესლის ჯაჭვთა დაწყვეტა,—მთის განთავისუფლება ამდენ მაჯლაჯუნა ჩარჩებისაგან.

ამხანაგობას უკვე 30 ათასი ფუთი მატყლი დაუგროვებია. ამას უნდა მივუმატოთ თრიალეთელებიც, რომელთაც უკანასკნელი ხუთი ათასი ფუთი მაინც ექნებათ დაგროვილი. მატყლის მაზანდა ომამდე 9 მ. 50 კაპ. იყო, ომის პირველ ხანებში ფუთი 15 მანეთად გახდა. 1915 წელს ნაპარსი მატყლიდან ამხანაგობას გაუყიდნია 15 ათასი ფუთი. 1916 წლის გაზაფხულის ნაპარსიდან—7 ათასი ფუთი 16 მანეთობაზე. ამხანაგობას კიდევ კარგად ჰქონია დამზადებული გასასყიდად. ამ თაობით გაზაფხულის ნაპარსიდან გადარჩენილ ნაწილზე 25 მანეთს იძლევიან ფუთზე. მაშასადამე, მატყლის ფასი გაზრდილა თითქმის ორჯელ მეტად. ამ ჟამად ამხანაგობას ათი ათასი ფუთი აქვს და მოელიან კიდევ 15 ათასს. თბილისში არსებულმა მატყლით მოვაჭრე ფირმამ ზორპაგენმა ამხანაგობას 25 მანეთი შეაძლია ფუთზე, მაგრამ ამხანაგობამ უარი სთქვა. სამაგიეროდ ამოირჩია კაცები, რომელნიც რუსეთში გაისტუმრა დიდ ბაზრებზე მატყლის მაზანდის გასაგებად, თანაც აქ ჯარიმად ფუთზე 5 მანეთი დააწესეს, ვინც დაუკითხავად გაჰყიდის მატყლს.

ასეა თუ ისე, ჩვენ საგულისხმო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართველი ხალხი იღვიძებს, ქართველი ხალხი ჰხვდება თავის ქონების მნიშვნელობას და ღირებულებას. ძველი გულგრილობა და დაუდევრობაბა ჰქრება. გაღვიძებისა და აღორძინების ნიშნები უკვე გაიფურჩნა. დღემდე ჩვენი ხალხი წააგავდა რომაულ ლეგენდის გმირებს, რომელნიც სიბილას შემოჰხვეოდნენ და არა ესმოდათ რა მისგან მითავაზებული მდიდარი ძღვენისა. სიბილა ყოველს უარზე ძღვენის ნაწილს სწვავდა. გმირნი მხოლოდ შემდეგში ჰხვდებოდნენ დაკარგულის მნიშვნელობას, გამქრალს მისტიროდნენ, ხოლო სიბილა კი ძღვენის გადარჩენილს ნაწილში ორჯელ მეტს სთხოვდა, ვიდრე წინად, როდესაც სრულად სთავაზობდა გამოწვდილს ძღვენსა. დრო არ გვაცლის და ყოველს დაკარგულს წუთზე ჩვენს სასტიკს სიბილას ორჯელ და ასჯერ მეტს სასყიდელს ვაძლევთ. ჩვენ ვგრძნობდით სიმწვავეს, ვკვნესოდით დაკარგულის შეგნებაზე, მაზე ვგოდებდით და ამ ცრემლაში ხელიდან გვეცლებოდა გადარჩენილიც. აი, ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენი მტერ-მოყვარენი განგაშსა სცემდნენ და ქვეყანას ბ-6 იშხანიანების პირით არწმუნებდნენ: „საქართველო კოლლექტიური ელეაზარია, რომელიც თავის სულში სიკვდილს ატარებსო“. მაგრამ საქართველო არ მოკვდა. მის სულს ჯერ სიკვდილი არ დაჰპატრონებია. პირიქით, სიკვდილს სიცოცხლე გამოსტაცა. ნელა, მაგრამ მაინც ბეჯითი გზით აღორძინებისკენ მიისწრაფვის. მრავალია ამის უტყუარი ნიშანი, ამის საბუთებს გვაძლევენ თუნდა გაკვრით აღნიშნული ჩვენი ქრონიკის ყვავილები...

**ქართლელი.**

* * *

ბედო, რას ხარობ, ტიალო,
რას დამხარხარებ წყეული?—
შენ დემონი ხარ, მე—კაცი,
კლდე-სალად გადაქცეული!..

ბევრჯერ მსმენია შენი ხმა
ცივი, საზარი, გრძნეული,
მიცდია შენი შხამ-გესლი,
საჩემოდ გადმონთხეული...

მაგრამ, ცბიერო ვერც ერთხელ
ჩემზედ ვერ გაგიხარია,
მკურნალ მალამოდ მქცევია
შენი შხამ-ნაღველ-ძმარია!

ვერც ეხლა დამძლევ, ხომ ხედავ,
ვარ ურყეველი, ძლიერი,
ვერც ყინვა მაზრობს, ვერც სუსხი,
ვერც თვით შენ—ბოროტ-ცბიერი!

ვერც მტარვალთ რისხვა სასტიკი,
ვერც მწარე ტანჯვა-გვემანი,
ვერც ზეცის ჰექა-ქუხილი,
ვერცა ზღვის ტალღათ ცემანი!..

ოდეს ხმა შენი ჯურღმულით
ისმის საგლოვი ზარითა,—
მე ქვეყნად ვმღერი სიყვარულს
მეფე დავითის ქნარითა!

მე დარაჯი ვარ ერისა,
მწყემსი ფხიზელი, ღვთიური,
სახლად მაქვს ველი გაშლილი
და საზრდოდ—ჰანგი ციური!

და რას დამაკლებ, ტიალო,
რას დამხარხარებ გრძნეული?
რას შეუდრკება ლომ-გული,
კლდე-სალად გადაქცეული!..

**განდეგილი.**

9 ენკენისთვე 1916 წ.

# მებრძოლი სახელმწიფონი

გერმანეთი.

III

პირველ წერილში უკვე აღვნიშნეთ, რომ გერმანეთის სამთავროთა გაერთიანების იდეა ნაპოლეონის შემოსევის დროიდან ვითარდებოდა და სისრულეში მოვიდა საფრანგეთთან ომის დროს 1870 წელსაო. ვთქვით ისიც, თუ ბისმარკმა 1871 წ. იანვარში ფაქტიურად როგორ დააკანონა ეს გაერთიანება, ან გვირგვინი იმპერატორობისა როგორ შესთავაზა ვილჰელმ პირველს, ან და ამ გენიოსმა პოლიტიკოსმა რა ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა, როგორი თილისმა იხმარა, რომ ერთმანეთზე გადაკიდებული და თვისებით შეურიგებელი მხიარული ბავარიელი, გულუბრყვილო, მამაცობით განთქმული, მაგრამ მით მაინც ჯიქი და გაუგონარი შვაბი, სერიოზული და მუდამ წარბ შეკრული სასტიკი პრუსიელი, ამაყს და უხსოვარ დროის დამოუკიდებლობის მოყვარულს ფრიზს როგორ შეუერთა მტკიცე და გაურღვეველი ფოლადის რგოლებით. ახლა საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით მაინც აღვწეროთ ის ახალი სახელმწიფოს წესწყობილება, რომელზედაც აგებულია დღევანდელი გერმანეთის კეთილდღეობა.

გერმანეთის იმპერია უაღრესად კონსტიტუციური მონარქია გახლავთ. იმპერატორი მთელს სახელმწიფოში ითვლება არა თუ უმაღლეს აღმასრულებელ ძალად, არამედ საკანონმდებლო კრებულთა უდიდეს ხელმძღვანელად და მმართველად. იგი მთელ ერის სახელით ლაპარაკობს გარეშე სახელმწიფოთა წინაშე, უფლება აქვს გამოაცხადოს ომი, ზავზედაც ხელი მოაწეროს, ან და დაადასტუროს ხელშეკრულობანი თუ კავშირები. იგივე ჰნიშნავს იმპერიის მთავარს კანცლერს, ირჩევს უმაღლეს სათანამდებო პირებს და თავის ნებაზე განსდევნის მას, თუ კი საჭიროდ დაინახავს. მას თვით იმის უფლებაც კი აქვს, რომ ძალით აიძულოს „მოვალეობა შეასრულონ“ იმ სამთავრომ და სამეფომ, რომელიც ამ კონსტიტუციურს მონარქიაში შედის, მაგრამ დაკისრებულს მოვალეობას მოვალეობად ვერ ჰხედავდა. სიტყვით, იმპერატორი, ანუ კაიზერი (წარმოსდგა სიტყვა კეისარიდან) პირველი მოქალაქე და უმაღლესად პირველი ბარომეტრია იმპერიის.

ყველა გერმანული სამეფო თუ სამთავრო, რომელიც კი იმპერიის ფარგლებში მოექცა, საზოგადო საქმის საწარმოვოდ და გასაძღოლად ირჩევს 58 წევრს, რომელნიც შეადგენენ ეგრედ წოდებულს „კავშირის საბჭოს“ (Bundesrat). კავშირის საბჭოს თავმჯდომარეობს იმპერიის კანცლერი. საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის იმპერიის სეიმს, ანუ რეიხსტაგს, რომელიც კავშირის საბჭოს მზგავსად ჩვეულებრივ ბერლინში იკრიბება. რეიხსტაგის დეპუტატებს ირჩევენ მამაკაცები, განურჩევლად წოდებისა, ყველა, ვინც კი 25 წელს გადასცილდება. დეპუტატთა არჩევა ჰხდება ფარული კენჭის ყრით. თვითეული სამეფო ჰგზავნის თვითეულს დეპუტატს ყოველ ასიათას მცხოვრებზე. რეიხსტაგი თავის საკუთარს ბიუროს ირჩევს და მთავრობას ურდგენს ამა თუ იმ კანონს თუ პროექტს, რაც კი მის კომპენსეციაში შედის. ნორმალური ვადა რეიხსტაგისა სრული სამი წელია. რეიხსტაგის დათხოვნა ყოველთვის შეიძლება. ამის უფლება მინიჭებული აქვს კავშირი სსაბჭოს. საბჭო, იმპერატორის თანხმობით, თუ კი საჭიროდ სცნობს დათხოვნას, დაითხოვს კიდეც. რეიხსტაგის დათხოვნის შემდეგ სამოც დღეში უთუოდ ახალი არჩევნები ინიშნება, ხოლო 90 დღის შემდეგ იხსნება ახალ რეიხსტაგის სხდომა. არც ერთი კანონი არ კანონობს და ძალაში ვერ შევა, თუ ორთავე პალატამ კენჭის ყრით არ გაიყვანა და უმაღლესი სანქცია არ მიუღია იმპერატორისაგან.

იმპერატორი, როგორც უმაღლეს მმართველი, საჭიროებს მინისტრებს, რომელნიც პრინცებთან და უმაღლეს მოხელეებთან ერთად შეადგენენ **სახელმწიფო საბჭოს**.

პრუსია და ზოგიერთი კავშირში შესული სამეფო თუ სამთავრო ადმინისტრატიული მხრით იყოფა პროვინციებად, ხოლო ეს უკანასკნელნი ოლქებად. უმეტეს შემთხვევაში ოლქი შესდგება ერთი ქალაქისგან და მის გარშემო მდებარე დაბა-სოფლებისგან. პროვინციათა მმართველობა დაკისრებული აქვთ პრეზიდენტებს და დირექტორებს, რომელთაც პირადად მეფენი ნიშნავენ ხოლმე ამ თანამდებობაზე. ზოგიერთს პროვინციაში არსებობს აგრეთვე **სეიმი**, რომელსაც მეფე მოიწვევს ხოლმე ორ წელიწადში ერთხელ მაინც. არაა სახელმწიფო, რომლის მექანიზმი ასეთის დაწვრილებით შემუშავებულიყოს. მთელს ხმელეთზე არ მოიპოვება მეორე ცალიც, სადაც ეს აბსტრაქტიული არსება, რასაც სახელმწიფოს ეძახიან, ასეთის საზოგადო პატივითა და სიყვარულით ყოფილიყოს მიღებული მთელის ერის მიერ, როგორც ამას ვხედავთ გერმანეთში. სახელმწიფო, ელიზე რეკლიუს მარჯვე დახასიათებით რომ ვსთქვათ, აქ ხელმწიფეს კი არ ნიშნავს, არა ხალხს, არამედ მთელს ბიუროკრატიულს იერარქიას, სადაც იმპერატორიდან მოყოლებული უკანასკნელს მოხელის კანდიდატამდე მუნდირიდან გამოიყურებიან.

გერმანული ბიუროკრატია მთელს ქვეყნის ბიუროკრატიისგან განსხვავდება თავის საოცარის დისციპლინით, რასაც სამართლიანად „რკინის დისციპლინას“ უწოდებენ. ეს თუ გნებავთ ნამდვილი ლაშქარი გახლავთ, რომელიც თითქოს მანევრებს ახდენს რაღაცა საბედისწერო ომის დასაწყებად. ყველაფერი და ყოველისფერი საოცრად გადახლართულან ერთმანეთში ერთი უძლიერესი იდეით, რომ გერმანეთი გახდეს „უპირატესი ყოველთა ზედა“.

მოლტკემ ერთხელ სთქვა: „მშვიდობიანი დრო ძილია, ხალხის მიძინების პერიოდი, ისიც მეტად გლახა, ყოვლად უსარგებლო ძილიო“. მისი აზრით ბრძოლა სიცოცხლეა. და აი, პრინციპი ახალის თაობისა სწორედ ასეთს ბრძოლის ქურაში უნდა გამოიბრძმედოსო. მართლაც, მოლტკეს აზრი საფუძვლად დაედო გერმანეთში ახალი თაობის აღზრდის სისტემას. ყოველისფერი ისე უნდა მოიწყოს, რომ იგი სასარგებლო იყოს არა რომელიმე პიროვნებისთვის, არამედ მთელი ნაციისთვის. ეს კი შეიძლება მაშინ, თუ სახელმწიფოს ჰყავს ჯანსაღი ადამიანები. ამიტომაც სამხედრო ბეგარის მინამზგავსი თვით სკოლის კედლებშიაც კი შეიტანეს. ოცი წლის ყმაწვილი რომ სადმე დუელში დაჭრილი არ იყოს, სამარცხვინოდ ეთვლება ყველასფერი. თვით ლაშქრობის საქმეც სამაგალითოდაა მოწყობილი. პირველია მუდმივი ლაშქარი, მეორე ლანდვერები, ანუ სათადარიგო ჯარისკაცები, რომელნიც მხოლოდ ომის დროს ადგენენ ახალ-ახალ ნაწილებს ამა თუ იმ კორპუსის შესავსებად თუ შესადგენად; მესამე ლანდშტურმებს უჭერიათ. ესენი მოვალენი არიან მებრძოლთ ზურგი გაუმაგრონ, საგარნიზონო სამსახური გასწიონ და საზღვრები დაიცვან.

როგორც სხვა სახელმწიფოებში, აქაც ჰყავთ გვარდია. გვარდიის ლაშქარს ადგენენ იმპერიის ყოველ კუთხიდან, ეგრედ წოდებულ ტერიტორიალ სისტემის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგვარდიო ჯარის კაცები სამხედრო ბეგარას იხდიან ადგილობრივ, ესე იგი, იმ პროვინციაში, სადაც დაიბადნენ. ამის გამო, მთელი გერმანეთი გაყოფილია ტერიტორიის მიხედვით პოლკებად, ბატალიონებად, როტებად. როდესაც სოფელში შედიხართ, შესასვლელს კარში ამართულია სვეტი, სადაც სამხედრო განაწილების გეგმაა მოხაზული ამ თემის სავალდებულოდ. აი ესეთი თემობრივი ორგანიზაცია საოცარის სისწრაფით ჰშველის მობილიზაციის მარჯვე მოსახდენად. ამის გარდა, თემობრივი ორგანიზაცია მით არის სახარბიელო, რომ ყველანი აქ ნაცნობები არიან, ასე ვსთქვათ, თავისიანებში და ამიტომ გაცილებით უსუბუქდებათ ბეგარის მოხდა.

ამნაირად, დღევანდელი გერმანეთი ნამდვილი სპარტაა, რა თქმა უნდა, დიდის მაშტაბით აღებული. სახელმწიფო სცდილობს აღზარდოს ჯანსაღი და მებრძოლი თაობა, ხოლო ხალხი კი იმის ფიქრშია, რომ მტკიცე და შეურყეველი იყოს მათი სახელმწიფო. თანხმობით, საოცარის შეწყობით დიდი და პატარა იბრძვის და მხნეობს. გერმანელმა არ იცის, რაა დაღალვა, ან დასვენება. იგი მთელს თავის ცხოვრებას მეთოდზე ამყარებს. ყოველგან წესი, ყოველგან რიგი. ამ წესით და რიგით მეცნიერება დაიპყრობინა, ხოლო მეცნიერებისა და მუყაითობის ძალით თვითონ ცხოვრებას მოუგრიხა კისერი. გერმანეთი, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფო, თვალით ეღირსა განსაცვიფრებელს ზრდას, სადაც ოც მილიონიან ხალხიდან 70 მილიონს გადააჭარბეს ერთს საუკუნეში, პირველთა შორის უპირატესი გახდა და რაღა გასაკვირველია, რომ განდიდების მანიით შეპყრობილიყო და ჯერ კიდევ 1846 წელს ჰოფმან ფონ ფალლერსლებენის მიერ შედგენილი ეროვნული ჰიმნი:“

„Deutschland über alles“ მართლა დევიზად გაეხადნა: „გერმანეთი უპირატესია ყველას შორის“.

De-Ka.

(შემდეგი იქნება)

# მოგზაურის რამე-რუმე

**ზემო-ქართლი—ხაშური.**

ენკენისთვის 7-ს შემთხვევით მოვხადი ზემო-ქართლში, სახელდობრ ძველ ხაშურში და ახლანდელ „მიხაილოვოში“. ვნახე ნაცნობი მეგობრები, რომელთაც გამოვკითხე ადგილობრივი ამბავი. ნაცნობ-მეგობრების უმეტესობა მასწავლებლები იყვნენ და რასაკვირველია თუ ბაასის საგნად სკოლა დარჩა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართლი საზოგადოდ ჩამორჩენილია სკოლას. ქართლელი გლეხის მრწამსი ძველი ანდაზა: „რაც ექნას მამაშენსა, ნურც შენ დარხევ პარპაშებსაო“ და რაკი მამა-პაპას სკოლაში არ უვლია, წერა-კითხვა არ უსწავლია, ქართლელის აზრით, ამიტომ არც შვილმა უნდა გადააჭარბოს მამას—არც მან უნდა ისწავლოს. დღევანდელმა, საშინელმა ომმა კი კერპი ქართლელიც მოსტეხა, ისიც კი დარწმუნდა, რომ წერა-კითხვის ცოდნა გლეხისათვისაც აუცილებელია. ამ გარემოებით უნდა ავხსნათ ის ფრიად სასიამოვნო მოვლენა, რომ წელს ქართლის სოფლის სკოლები მოსწავლე ახალგაზრდობით ივსება და ასე წარმოიდგინეთ მთხოვნელების მიღებასაც ვერ ასდის და სწავლის მიღების ბევრ მსურველს თვალ-ცრემლიანს უკანვე აბრუნებენ. მაგალითისთვის ავიღოთ ზემო-ჰალის (ხაშურშია) ორკლასიანი სკოლა. წარსულ წელს სკოლაში შესვლის მსურველი ყოფილა 75, მიუღიათ ყველა, წელს კი მსურველი ყოფილა 125, რომელთაგან უადგილობის გამო უკანვე დაუბრუნებიათ 65. ავლევის ორკლასიან სკოლაში 1900 წელს (დაარსების წელიწადს) სკოლაში შესულა 45 მოწაფე (ქალი და ვაჟი), გასულ წელს ყოფილა 210, წელს კი მიიღებს 240 და 40-მდე მოწაფეს უადგილობის გამო უარი უთხრეს. ერთის მხრით გული სიამით გევსება, როცა ნათლათ ხედავ, რომ ქართლელ გლეხს „ყურიდან ბამბის ძველა გამოუღია“ და ისიც ეწაფება თანამედროვე ცხოვრებას, ისიც ლამობს სხვების მაჩანჩალობას თავი დააღწიოს, მაგრამ მეორე მხრით გული სევდით გევსება, ბრაზი გერევა, როცა ხედავ სწავლის შეძენის მსურველთა ალალ მოთხოვნილებას სკოლა ვერ აკმაყოფილებს, კიდევ ამაზე უარესი, ზოგან (კარგა მოზრდილ სოფლებში) სკოლა სულ არ არის და კიდევ ამაზე უარესი თავს ლაფ-დასხმა ის არის, რომ ზოგიერთ ადგილას გახსნილი სკოლა დახურულა და ზოგან იხურება. მერე ვისი მეოხებით ხდება ეს ყოვლად სამარცხვინო საქმე, ვინ

არის სამშობლო ქვეყნისა და ერის მოღალატე!? სწორედ ის ვისაც დავალებული აქვს გლეხის სწავლა-განათლებაზე იზრუნოს, ის ვისაც ეკისრება თვალყური ადევნოს, რომ გლეხი არავინ (თვით პოლიციამაც) დაჩაგროს და გლეხთა ყრილობის განაჩენი (პრიგოვორი) სისრულეში მოვიდეს. ეს პირი გახლავთ მომრიგებელ-შუამავალი და თქვენც დამეთანხმებით, რომ რუსეთში მომრიგებელ შუამავლობაზე საპატიო თანამდებობა არ არსებობს და ასეთ მოხელეს, თუ ის თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ბევრი რამ კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. გლეხთა კეთილ დღეობაზე ზრუნვა, ვიმეორებ მომრიგებელ შუამავალს ევალება, მაშასადამე, მისი საქმეა გლეხებს უწინამძღვროს და სკოლები გაახსნევინოს... ადგილობრივი მომრიგებელ შუამავლის მეოხებით, მისი გულგრილობით, დაუდევრობით და სიზარმაცით კი გახსნილი სკოლები დახურულა (ერთ პატარა კუთხეში ოთხი სკოლა). მომრიგებელ-შუამავალი თვით უნდა სდევდეს სკოლების ინსპექტორ-დირექტორებს და სკოლების გახსნას ხელს უწყობდეს, ამის ნაცვლად ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალ თავად ვეზირიშვილს (კნიაზ ვეზიროვს) უცხო კაცი მე-III რაიონის სკოლების ინსპექტორი ბ-ნი რამაშევსკი თვით ეჩიჩინება „კნიაზ ვეზიროვს“ ოსიაურის (სოფელია) სკოლა თუ არ შეაკეთებინე დაიხურებაო. კნიაზს ეს უხარია და ინსპექტორს აშკარათ ეუბნება: Очень мнѣ нужно —закройте-ო. ეს ქართულ ენაზე რომ ეთქვა ასე იტყოდა: ფეხებზედაც არა მკიდია შენი სკოლა, ჯანაბას თუ დახურავ.

სკოლების შესახებ ოქმების სისრულეში თავის დროზე მოყვანას მომრიგებელ შუამავალი თვით უნდა ცდილობდეს, მაგრამ კნ. ვეზიროვს ოქმების მიჩქმალვა ჰყვარებია. ამის მეოხებით სხვათა შორის თავის დროზე არ მოესწრო სკოლების შეკეთება და დაიხურა ისეთ თვალსაჩინო სოფელშიაც კი როგორიც გომია. ყველა ეს (და ამაზე მეტიც) გადმომცეს სარწმუნო პირებმა, რომელთაც განაცხადეს, როცა საჭიროება იქნება ჩვენს ნათქვამს დავადასტურებთო.

---

გიმნაზიის გახსნის შემდეგ ხაშური დიდათ გაზრდილა და ყოველ წლივ მატულობს. გიმნაზია სავსეა მოწაფეებით, მაგრამ ჯერჯერობით სხვა მხრიდან მოსულები სჭარბობენ ადგილობრივ მცხოვრებთა შვილებს. მოწაფეთა შენახვა აქაც გაუძვირებიათ: წასულ წელს 15—20 მან. იყვანდნენ, წელს 30—40 მ. სთხოვენ. ამდენ ხანს ხაშური ელექტრონით იყო განათებული, ახლა კი სიბნელით არის მოცული; ცხადია აქ გებენ-ბრესლაუსი არ ეშინიათ, არამედ სიბნელის მიზეზი ყოფილა ჩვენებური-ქართველური დაუდევრობა და გაუტანლობა.

ელექტრონის სადგური 3—4 ამხანაგის ყოფილა და ერთი-მეორეს ვერ შეგუებიან... ასე თუ ისე ხაშურს დიდი მომავალი აქვს, ის არის იმერეთ-ამერეთის კარი, მისი მცხოვრებლებიც ამერელ-იმერლებია და აი ამათ უნდა იკისრონ მთის გადაღ-გადმოღმის მჭიდროთ დაკავშირება.

8 ენკენისთვეს დილის მატარებლით სად. გომში ამოვედი. გომი არამც თუ ზემო ქართლის, არამედ მთელი ქართლის ბეღელია. გომი ბლომათ აწვდის მთელ კავკასიას: პურს, ქერს, თივას, შვრიას, კომბოსტოს და სხვა სანოვაგეს. ერთი სიტყვით აქ დიდი ფაცა-ფუცია და, რომ ქართლის თავად-აზნაურობას დროზე ყური არ გამოეფხიკა და აქ ე. წ. სინდიკატი არ დაეარსებინა აქაური, სიმდიდრის პატრონებიც სხვები იქნებოდნენ. დღეს კი მთელი დიდი რაიონის ბელლის პატრონი სინდიკატია და დიდი ნაყოფიც მოაქვს. გომშივე არის აფთიაქი და სამკითხველო. ეს უკანასკნელი გომელთა სამწუხაროდ საქათმეშია მოთავსებული, აქვს 50 წიგნი და ქართული ჟურნალ-გაზეთები. საშუალო რიცხვით დღიური მკითხველი ჰყავს 6—7 (თითქმის ერთი და იგივე პირი). სამწუხაროთ როგორც წინად აღვნიშნე, ასეთ დიდ დაბა-სოფელს არ აქვს სკოლა, იმიტომ, რომ სკოლის შენობა თავის დროზე არ აუშენებიათ. ნუ თუ სინდიკატს არ შეეძლო სკოლისათვის დაეთმო ერთი დარბაზი ან აეშენებია საკუთარი შენობა? ოღონდაც, რომ შეეძლო.. გომიდან გავწიე სოფელ ავლევისაკენ.

აპ. წულაძე.

(შემდეგი იქნება)

# წერილი ქიზიყიდან

**სოფ. ზემო-მაჩხაანი.** იმ დროს, როცა დასავლეთ საქართველოს შესახებ მუდამ და ქართლის შესახებ კიდევ ძალიან ხშირად იწერება ბევრი რამ, ქიზიყიდან კორესპონდენციას გაზეთებში იშვიათად შეხვდება ადამიანი.

ეს გარემოება უნდა აიხსნას, სხვათა შორის, იმითაც, რომ საზოგადოდ ქიზიყში და კერძოდ ს. ზ. მაჩხაანში ეგრედ წოდებული ინტელიგენცია სუსტია, ან არ არსებობს. მართალია, სცხოვრობს აქ, ან მოდის საგარაკოდ, რამდენიმე ინტელიგენტი ნასწავლი პირი, მაგრამ მის და ხალხს შორის ღრმა ორმოა გათხრილი, მის ყურადღებას სოფლის გასაჭირი ისევე იქცევს, როგორც თქვენსას ზღაპრული მუქთა-ხორა. ზოგიერთ იმათთაგანის უსაფუძლო აზრით, კიდევ, ქიზიყელი— დიდი და პატარა „ვირიც“, „ბრიყვიც“ და „ქურდიც“ არის.

მოდის საზაფხულოდ რამდენიმე სტუდენტიც. მაგრამ ისინი კაკლის ქვეშ გრილოში გულაღმა წვანან, ცაში აფურთხებენ და აქაურ „შეუსმენარ“ ხალხთან საქმის ჭერით თავს არ იტკიებენ.

არიან, რასაკვირველია, მასწავლებელნიც. მართალია, მათ შესახებ რაიმე ძვირის თქმას ადამიანი უნდა მოერიდოს, რადგან ყველამ იცის, რის გამოც სოფლის მასწავლებელი სოფელში სათანადო და შესაფერ როლს ვერ თამაშობს, მაგრამ მაინც მათ, სოფლის მასწავლებელთ, უნდა ესაყვედუროს, რო ქიზიყში ნაკლები სამკითხველოებია.

სირცხვილია მათთვის, მაგალითად, რო სოფ. ქვემო-მაჩხაანში ერთ შენობას მიკრული აქვს ხის დაფა მშვენივრი დიდასოებ ზეწარწერით: „ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგ. სამკითხველო“, როცა ამ შენობაში სამკითხველოს მზგავსი არაფერი არსებობს...

სოფ. ზ. მაჩხაანის მცხოვრებლები ხვნა-თესვით ირჩენენ თავს. წელს საშუალოზე ნაკლები მოსავალია. პური ხორბალი ახლავე ფუთი ოთხ მანეთამდე ღირს.

საზოგადოდ ყველა სანოვაგის მეტი სიძვირეა. მაგალ. ყველი ცხვრისა გირვანქა ოთხ აბაზად და ძროხისა ათ შაურად ფასობს, ლობიო ფუთი— 3 მან., ხახვი—2 მ. 40 კ., კარტოფილი—1 მ. 20 კ. და სხვა.

დიდი უბედურება მოელის აქაურ მცხოვრებლებს მეტადრე ახლა. როცა ყველა ის, ვისაც შრომა და ოჯახის რჩენა აძევს კისრად, სახლში არ არის.

ამ სიძვირესთან ერთად ავადმყოფობაა გავრცელებული აქ, ზ. მაჩხაანში, არ არის ისეთი ოჯახი, რომლის ერთი-ორი წევრი ციებ-ცხელებით შეპყრობილი არ იწვეს.

მდგომარეობა გაუარესებულია მით, რომ სოფელი უექიმოთაა დარჩენილი. სოფ. ქვემო-მაჩხაანის ქსენონის ექიმი ომშია გაწვეული, სიღნაღში მყოფი ექიმი კი, როგორც აქაურები ამბობენ, „ისეა გადიდკაცებული, რომ 16 მანეთ ნაკლებ სოფელში არ ნებულობს მობრძანებას“.

ჩვენს სოფელში ციებ-ცხელება ეპიდემიური ხასიათისაა. ხალხი მით კალოებზე ხდება ავად. მიზეზი ჭის წყლის სმა უნდა იყოს.

კალოებზე წყაროები არ არის და ხალხი ჭის წყალსა სვამს. ჭები დაუხურავია. როცა ვედროებით ამოღებული წყლით კოკებს ავსებენ, ბევრსა ღვრიან. წყალი უკანვე ჭაში ჩადის, ჩააქვს თან ათასი უწმინდურება და ჭასა სწამლავს. ბევრი წყალიც გუბდება. ხან ჭები ივსება წყლით და გადმოდის. ამის გამო ჭების ახლო ადგილები გუბეებად და გაუვალ საფლობებად არის ქცეული. ზაფხულობით იქაურობა დამპალია. მიზეზი ციებ-ცხელებისა ესეც უნდა იყოს...

ამ რამდენიმე წლის წინად რუსეთიდან ჩამოვიდა რუსის რამდენიმე ოჯახი და დაბა დედოფლის წყაროს (თუქურმიშის) აღმოსავლეთით სოფ. ზ. მაჩხაანის კალოების და მამულების მეზობლად დასახლდა. ამ რუსებს ყოველ წლივ მოჰყავთ ას ფუთობით მზეუჭვრიტის თესლი, რომლისგანაც საუკეთესო ზეთს ამზადებენ, და ათას ფუთობით კარტოფილი—რასაც თბილისის ვაჭრებსაც ასყიდებენ. ამათვე, რუსებს, შეუძენიათ ყანის ორთქლით სალეწი და სხვა სამეურნეო მანქანები.

წარმოიდგინეთ, ჩვენი ხალხი აი ამ რუსებისაგან ქირაობს მანქანებს და ყიდულობს ზეთს და კარტოფილს!

რათა?... რატომ თითონ ჩვენი ხალხიც არა სთესავს კარტოფილსაც, მზეუჭვრიტესაც, არ ყიდულობს საერთო ძალით მანქანებს და სხვა?

ბევრი რამე უჭირს, ბევრი რამის სწავლება და ჩაგონება უნდა ჩვენ ხალხს? ჩქარა, ჩქარა ეროვა, თორემ მეტი ღონე აღარ არის, ხალხი დაიღუპება.

ერთად-ერთი მანუგეშებელი ამბავი აქ წვრილი საკრედიტო დაწესებულებაა.

დიდი მადლობის ღირსნი არიან დეკანოზი მ. კირილე ღვთისავარიშვილი, ამ დაწესებულების დაარსების, მგონია ინიციატორი, მედავითნე ნ. ნატროშვილი და სხვები, რომლებიც ენერგიულად და უანგაროდ უძღვებიან ნახსენებ საკრედიტო დაწესებულებას.

დიდი სიკეთე მოუტანა გასულ წელს, და მოუტანს შემდეგში, ხალხს ეს დაწესებულება. ჯერ ერთი, რასაკვირველია, ხალხი აქედან მცირე სარგებლიან სესხს იღებს. მეორე—აქედამვე გამოტანილი ფულით ხალხმა მ. კირ. ღვთისავარიშვილის და ნ. ნატროშვილის დახმარებით და მეცადინეობით გამოიწერა შაბი, გოგირდი, ფქვილი და ხორბალი.

ეს დაწესებულება რო არ ყოფილიყო, ამ უკიდურეს გაჭირების და სისხლის წვიმების დროს ხალხი მოგახშეების გულისად გახდებოდა.

ონ—ლი.

# დაბა-სოფლები

**სოფ. კონდოლი** (თელავის მაზრა) ამ ბოლო დროს ძალიან გამრავლდნენ ალაზნის გაღმა-გამოღმა სოფლებში ყაჩაღები, თითქმის მეორე ბრძოლის ასპარეზად კახეთი გადააქციეს. დღე არ გავა ისე, რომ ხუთ-ექვს ადგილას არ მოხდეს დაცემა, ცარცვა კვლა. ზოგიერთნი იქამდე წათამამდნენ. რომ შარა გზაზე ბარგიან ურემსაც კი იტაცებენ მუქარის წერილებით ფულის მოთხოვნა ხომ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცეს თუ არ მისცემენ ან შვილებს აწ ძმას მოსტაცებენ აი ეხლაც ამ რამდენიმე ხნის წინათ, წერილი მოსწერეს ამ სოფლის გლეხს აბრია ცუცუნაშვილს, რომლითაც ორას თუმანს სთხოვდნენ. ცუცუნაშვილმა არ იკისრა უთავმასუქო ვალის მიცემა, ადგნენ გაჯავრებულები და 4 ენკენისთვეს დეეცნენ სახლში შუაღამისას, ჯერ კარების შემტვრევა სცადეს, ვერ მოახერხეს, შემდეგ გარედგან დ უშინეს თოფები კარ-ფანჯრებს. გულგახეთქილებმა იმის მეტი ვეღარაფერი მოახერხეს, რომ ყველანი დიდიან-პატარიანად მაღლა ჭერში აცვივდნენ დასამალად, საიდგანაც გაისმა მთელ სოფელში გულ-შემზარავი წივ ლ-კივილი და ძახილი, რომ მიშველებოდნენ. ყაჩაღებმა რა ეს გაიგონეს ახლა მაღლა დაუშინეს თოფები, მაგრამ ტყვია ვერსაიდან ვერ მიუყენეს დამალულებს. კარგა ხნის სროლისა და მთელ სოფლის აზმაურების შემდეგ, ძლივს იკადრეს ხელ-ცარიელებმა გაბრუნება.

აი ესეთი ამბები ხდება, მაგრამ ვინ არის უურს მგდებელი?!

შუამთელი.

# შემოწირულება

ყოველ მხრივ შევიწროებული, მაგრამ სწავლა მოწყურებული სოფელიც გამორკვევის გზას დაადგა და ის მოითხოვს არამც თუ შკოლას ბავშვთათვის, არამედ შკოლას მოზრდილთათვის, მას სწყურია გაიგოს სწავლის და ქვეყნიერების ჰამოცანა. ს. გაღმა-ზანათში უკვე შედგა ფონდი და დაარსდა უფასო სამკითხველო. კეთილ ინებეს და შემოსწირეს. 25 მან. აკაკი ხოშტარიამ, 10 მ. მიხეილ დავითაიამ; 5—5 მ. ალექ. რატიანმა, ნიკ. კოკაიამ, იასონ ეგ. გუნია და გრიშა უჩანეიშვილმა; 3—3 მან. არჩილ ჩიჩუა, ფილიპე გუნია და იოსებ გუნია, 2 მ. 20 კ. დ. ქობალავა; 2 მ.—დიმიტრი ქობალავა; 1 მ. პ. ქობალავა, ს. ქობალავა, უშ. გუნია, ბ. კ. გუნია, ბ. ქანდარია, აქვ. ქობალავა, მართა ქობალავა, ოლგა რატიანისა, სოლ. უჩანეიშვილი, ფ. მატკავა, სვ. გაბილაია, ალ-რა გუნიასი, ქიონია ქობალავა, ლევარსი ცომაია, იაკ. ქანდარია, გიორ. სურმავა, თ. ძაძამია, კ. ბ. ქობალავა, ალ. ქობალავა, ლევ. ქობალავა, ივლ. ნოდია, ი. კოკაია. ვლ. გუნია, ილ. ძაძამია, თეოთ. ნ. კოკაია, პახვ. ქობალავა, ნ. კოკაია, კ. ნ. გუნია და ნუშრევან რატიანმა; 50 კაპ.; ი. თ. გუნია, ალ. გაგუა, დ. ჯინორია, ილ. ჭანტურია, ალ. ბ. გუნია, ბ. გუნია, დავ. გუნია, აქ. კუცია, ან. ქანდარია, პავლე უჩანეიშვილი, ბეგ. გუნია, სტ. ბარკალაია, იოს. გუნია, ბ. ხორავა, მურზა დანელია, 40 კ. თამარა კაჭარავამ; 25 კ. ცობუ გაბილაიამ; 20 კ ქ. ქობალავა, ნიმ. ქობალავა, თამ. გუნია, ვ. კაჭარავა, ფ. კაჭარავა, ნ. კუპრავა, ვ. მიმინოიშვილი, ელ. ხურცილავა, იურ. ქობალავა, ციცია ქობალავა, შევ. ქობალავა, ნიმ. გუნია, პაშა ჯღანჯღავა, ვ. ქანდარია, გივი ქობალავა; 5 კ. კ. გუნია, სერ. გუნია, იონ. გუნია ან. გუნიამ, კუნ. კოტარია სულ 100 მანეთი.

ანახია ქ ნედარიამ შეაგროვა; გაღმა—ზანათის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოსთვის 11 მან. 85 კაპ. შემოსწირეს:

სამი მანეთი: ცუცა კოკაიამ, თ თო მანეთი: პლატ. სიხარულიძემ და გუჯუ ხარჩილავამ: სამი აბაზი: ბენ. მიხელოშვილმა, ათ-ათი შაური: თეოფანე ძაძამია, პ. კოკაია, პ. მიმინოშვილი, ლ. კოტარია, მიხ. კოკაია, გ. დეისაძე, ფ. კოკაია, სამ. ძაძამია, ა. ნოდია და თამ. ქობალავამ; ექვსი შაური—ალ. გუნიამ; ხუთ-ხუთი შაური: ევ. უჩინეიშვილი, (მილო) მალანია, და მენიკი ჭავამ; აბაზი: ელ. ქობალავამ. სულ 11 მ. 85 კ.

გამგეობის მონდობილობით

იპ. ქობალავა.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი

ხანდრო ზანზიაშვილი

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | 58 „ | საღ. |


# სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექ მს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

ყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განთის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყიდულობს ხოლმისაფეხის ფასშ

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

განათლებისა და მრეწველობის სამინისტროს უფლებით მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—231—15)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ხ ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმოროთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ტ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც სამური აქვს

წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ტ წიგ. მაღაზ.

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტ. რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე. პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ემბაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განთლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ზავოდ, მრეწველობიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „შოხნა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯ ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკა რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.